პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 მარტი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 60 (9979) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ПРАВДА — ვინ ვის?

**სხვადასხვა თაობის ფეხბურთელთა სპორტული ღირსებების შედარება ჩვეულებრივ მხოლოდ ვარაუდით თუ შეიძლება. მაგალითად, არავითარი ობიექტური მაჩვენებლები არ არსებობს იმის ზუსტად სათქმელად, რომელი გუნდი უკეთესია — 1981 წლის თბილისის „დინამო", რომელმაც ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიპოვა, თუ იგივე „დინამო" დღევანდელი შემადგენლობით. ამ კითხვაზე პასუხს თამაში გაგვცემს.**

**მატჩი** დაგეგმილია აპრილის დამლევისთვის თბილისში, როცა საქართველოში, ტრადიციისამებრ, ხსოვნის დღე აღინიშნება. შეხვედრას „გულმოწყალების მატჩს" უწოდებენ, ვინაიდან შემოსული თანხა დაღუპული ფეხბურთელების — ვიტალი დარასელიას, შოთა იამანიძისა და სხვათა ოჯახების დასახმარებლად არის განკუთვნილი.

ვინ ითამაშებს ვეტერანთა გუნდის შემადგენლობაში? თბილისის „დინამოში" დღემდე გამოდიან მეკარე ო. გაბელია და მცველი ზ. სვანაძე, რომლებიც ევროპის თასის მფლობელთა გუნდში თამაშობდნენ. მხოლოდ ახლახან დაამთავრეს გამოსვლები ფეხბურთის ისეთმა ვარსკვლავებმა, როგორიც არიან ა. ჩივაძე და თ. სულაქველიძე. საკმაოდ მაღალ სპორტულ ფორმას ინარჩუნებს ვ. გუცაევი, რომელიც ახლა მწვრთნელად მუშაობს. ეჭვი არ მეპარება, რომ კარგი თამაშით გაგვახარებენ დ. ყიფიანი და რ. შენგელია... ერთი სიტყვით, როგორც საქართველოს სსრ სპორტსახკომში გვითხრეს, შემადგენლობასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა არ წარმოიქმნება.

ვის უფრო მეტი შანსი აქვს წარმატებისა? როცა მავანმა უაპელაციოდ გამოთქვა აზრი ახალგაზრდა თაობის ფეხბურთელთა სასარგებლოდ, თბილისის „დინამოს" ერთ-ერთმა დღევანდელმა მწვრთნელმა მ. ხურცილავამ ჩაიცინა — ეგ ჯერ კიდევ საკითხავია!

**ლ. ლებედევი.**

**„პრავდა", 27 მარტი, 1989 წ.**

მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

## სტუმარსაც რომ გაუხარდეს...

საქართველოში ყოველწლიურად რამდენიმე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ტარდება, რომელთა მნიშვნელობა სათანადოდ არის შეფასებული სპეციალისტთა მიერ. ეს გახლავთ ძირითადად მოზრდილთა ასპარეზობები, რომლებმაც კარგა ხანია მოიხვეჭა ავტორიტეტი. უფრო იშვიათია ახალგაზრდების ტურნირები უცხოელთა მონაწილეობით, რომელთა მნიშვნელობაც ყველასთვის გასაგებია — რეზერვზე ზრუნვის გარეშე დიდ სპორტს მალე ეკვეცება ფრთები.

შესანიშნავი ქართველი მოჭიდავის ანზორ კიკნაძის სახელობის მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, რომლის ორგანიზატორები საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრო და რესპუბლიკის სპორტსახკომი არიან, ცხადია, სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ. ამავე ინტერესებიდან გამომდინარეობს ტურნირის მასშტაბის გაზრდა.

ამის აუცილებელი პირობაა შეჯიბრების დებულების დახვეწა, ე. ი. ასპარეზობის პირობების გაუმჯობესება, ურომლისოდაც ძნელია უცხოეთის ქვეყნებიდან უძლიერეს მოჭიდავეთა მოწვევა.

დახვეწილი ორგანიზაცია მართლაც უმთავრესი გზაა ანზორ კიკნაძის სახელობის ტურნირის მნიშვნელობის გაზრდისა და მისი პოპულარიზაციისა. დიდების შეჯიბრება სხვა საქმეა, ახლა ბევრგან იმართება ე. წ. კომერციული ტურნირები (სპორტსმენებს ამ შეჯიბრებებზე გვარიანი თანხითა და პრიზებით აჯილდოებენ), რომელთა ალტერნატივა ჩვენს ქვეყანაში ვერ გამოინახა და ამის გამო სულ უფრო ჭირს სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამართულ ასპარეზობებზე უძლიერეს ათლეტთა მოწვევა (რა საკვირველია, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებს არ ვგულისხმობთ).

ჭაბუკთა შეჯიბრებებს, რა თქმა უნდა, ასეთი მერკანტილური თვალსაზრისით არავინ უყურებს. მთავარია მომავალ ჩემპიონთა აღზრდა და წრთობა, რასაც ხელი უნდა შეუწყოს კარგად ორგანიზებულმა ტურნირმა.

ამიტომ ვამბობთ, რომ იქნებ მეტისმეტი იყო ამდენი სპორტსმენის გამოყვანა მასპინძელთა გუნდიდან. ეს შეეხება როგორც საბ-

იხ. გვ. 2 გვ.







## 1 და 2 აპრილს

რამდენიმე წელია ჩვენს რესპუბლიკაში აპრილის პირველ კვირა დღეს ტრადიციულად ტარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, რომელშიაც სხვადასხვა ასაკის ადამიანები მონაწილეობენ. სიმბოლურია, რომ ეს საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა ჯანმრთელობისათვის გაზაფხულზე ტარდება. ამ დღეს მთელი რესპუბლიკა ერთ სტადიონადაა ქცეული. ასე იქნება წელსაც, ოღონდ ამჯერად ღონისძიებები ჩატარდება არ ერთ, არამედ ორ დღეს — შაბათს და კვირას 1 და 2 აპრილს.

რესპუბლიკის ავტონომიურ რეგიონებში, ქალაქებსა და რაიონებში, დაბებსა და სოფლებში შესაბამისი სპორტკომიტეტები და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საბჭოები ადგილობრივი პირობების, შესაძლებლობებისა და ტრადიციების გათვალისწინებით თავად გეგმავენ მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს. ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებით მითითებას სპორტული ორგანიზაციები ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანიზაციებიდან აღარ მიიღებენ.

1 და 2 აპრილის ღონისძიებებისათვის მზადებისა და მისი ჩატარების შესახებ ინფორმაციები გთხოვთ მოგვაწოდოთ „ლელოს" რედაქციაში.







სტუდენტთა გიგანტური თამაშები

## პოლიტექნიკოსთა უპირატესობით

ამ გრანდიოზული შეჯიბრების მეორე ტური გუშინწინ გაიმართა თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე, სადაც თავი მოიყარა საასპარეზოდ გამზადებულმა 1100-მდე სტუდენტმა და პროფესორ-მასწავლებელმა.

როგორც უკვე იცით, იმ მიზნით, რომ შეჯიბრებაზე ცალმხრივი უპირატესობა არავის ჰქონდეს, ფავორიტის — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წინააღმდეგ უნივერსიტეტის სპორტული კოლექტივის გარდა გამოდის თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა ნაკრები, მაგრამ, მიუხედავად ასეთი მეტოქეობისა, მომავალმა ინჟინრებმა და მათმა მასწავლებლებმა მნიშვნელოვან უპირატესობას მიაღწიეს.

ეს პირველ რიგში ითქმის შეჯიბრებაზე ბაგირის გადაძალვაში, სადაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის 30-კაციანმა გუნდმა, ძირითადად რეგბისტებითა და მოჭიდავეებით დაკომპლექტებულმა, ერთ შეძახილზე, საათივით აწყობილი მოქმედებით, ორ-ორჯერ სძლია უნივერსიტეტსაც და ნაკრებსაც. პოლიტექნიკოსები, ეტყობა, ინსტიტუტის რექტორის აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის დასწრებამაც წაახალისა საბრძოლველად. ისიც უნდა ითქვას, რომ ბაგირის გადაძალვა თავდაპირველად არ იყო შეტანილი იმდღევანდელი ასპარეზობის პროგრამაში, მაგრამ სამივე კოლექტივმა ამის შესახებ იქვე მოილაპარაკა და გადაწყვეტილებაც მიიღეს.

ყველაზე მეტი ინტერესი გამოიწვია მკლავჭიდმა, (ადრე მკლავის გადაძალვად იწოდებოდა). გუნდურ პირველობაში პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა მოუგეს უნივერსიტეტის გუნდს—31:19, შემდეგ მინიმალური ანგარიშით 24:26 დამარცხდნენ ნაკრებთან. თითოეულმა კოლექტივმა 50-50 კაცი გამოიყვანა.

ძალზე საინტერესო იყო პირადი პირველობა, რომელშიც რამდენიმე ცნობილი სპორტსმენიც მონაწილეობდა. ვინც იცნობდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, ძიუდოისტ ლერი ნაკანის (უნივერსიტეტი) ძალას, ეჭვიც არ ეპარებოდა მის გამარჯვებაში. ლერი ნაკანი ძალზე იოლად ამარცხებდა მეტოქეებს. მაგრამ მოულოდნელად ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა საგარეჯოელ დავით კოხტაშვილთან (ზოოვეტერინარული ინსტიტუტი) ჭიდილში. კოხტაშვილი მხოლოდ 72 კილოგრამს იწონის, მაგრამ საოცარი ძალა გამოავლინა და ვერტიკალური მდგომარეობიდან თითქმის 45-50 გრადუსამდე გადახარა ძიუდოისტის ხელი. მაგრამ მოჭიდავის ნაწრთობმა, გამძლე მარჯვენამ თავისი გაიტანა და ნაკანმა ძნელ გამარჯვებას მიაღწია. „მე რამდენჯერმე გამოვსულვარ ასეთ შეჯიბრებაში და პირველად მაჯობეს, ცოტა ნაავადმყოფარიც ვარ". — სინანულით თქვა დამარცხებულმა.

ლერი ნაკანმა ნახევარფინალში აჯობა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს თავისუფალ ჭიდაობაში მამუკა რაზმაძეს (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) და ფინალში შეხვდა რაზმაძის კოლეგას, სპორტის ოსტატს თამაზ კურკუმულს.

მართლაც რკინისებური მარჯვენა აღმოაჩნდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტს. ხანმოკლე შერკინების შემდეგ ლერი ნაკანმა გამარჯვება მიულოცა მეტოქეს.

კროსში თითოეულმა კოლექტივმა 200-200 მონაწილე გამოიყვანა. უპირატესობა აქაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტების მხარეზე იყო, რომლებმაც ორივე მეტოქე დაამარცხეს, ოღონდ პირად პირველობაში უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა თამარ გოგოლაძემ (1 კმ-ზე) და იური კოსიხმა (3 კმ) გაიმარჯვეს.

მომდევნო ასპარეზობა სტუდენტთა გიგანტური თამაშების პროგრამით მომავალ კვირას, 2 აპრილს გაიმართება. თბილისის 18 სპორტულ ბაზაზე იასპარეზებენ ფრენბურთელები. ამავე დღეს თელავში, გორში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში თამაშებში ჩაებმებიან ამ ქალაქების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

## მიზანთან ახლოს

**თბილისის** „ბურევესტნიკის" ფრენბურთელ ქალთა გუნდი ამჟამად საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში გადასასვლელად იბრძვის და პრაქტიკულად ეს შანსი განაღდებული აქვს. ყოველ შემთხვევაში, სამი ტურის მატჩები თავის მეტოქეებს ფრუნზეს, აშხაბადისა და ერევნის ფრენბურთელებს საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო. ახლა გუნდს დარჩენილი აქვს მეოთხე ტურის მატჩები, რომელიც ერევანში ჩატარდება. მიზნის მისაღწევად თბილისელმა ფრენბურთელებმა სამიდან ერთი შეხვედრა უნდა მოიგონ.

ანალოგიურ ტურნირში მოასპარეზე თბილისის ვაჟთა კოლექტივიც პირველ ლიგაში გადასვლის შანსებს ინარჩუნებს.

ტურნირში გამარჯვებულნი



ალექსანდრე ღვინიაშვილი



ბაკური ერაშვილი



გიორგი გავარდაშვილი

# სტუმარსაც რომ გაუხარდეს...

(დასასრული)

ქეთა კავშირის, ისე საქართველოს ნაკრებს. თქმა არ უნდა, ამჟამად ძიუდოში საქართველოს დიდი და საიმედო რეზერვი ჰყავს, მაგრამ იქნებ ჯობდეს, კერძო შემთხვევაში მაინც, ზოგ რამეს შეველიოთ უფრო დიდი მიზნისთვის. სტუმართა კარგად მიღება-გასტუმრება ღირსების საქმეა, მაგრამ ისიც უნდა მოხერხდეს, რომ მათ მეტი სტიმული ჰქონდეთ ბრძოლისთვის.

ქვეჯგუფებში სპორტსმენთა განაწილებამ, საიდანაც უცხოელი მოჭიდავე აუცილებლად, დამარცხების შემთხვევაშიც კი იკვლევდა გზას შემდგომი ეტაპისაკენ, ზედმეტად გაწელა ასპარეზობა, თანაც კურიოზებიც ხდებოდა. ერთ-ერთმა უნგრელმა მოჭიდავემ თავის ქვეჯგუფში ყველა შეხვედრა წააგო. როდესაც უთხრეს, დიბულებით მაინც მოხვდით ნახევარფინალშიო, თავმოყვარე ყმაწვილმა შემდგომ ბრძოლაზე უარი განაცხადა...

თუმცა მთლიანად ტურნირს დინამიკურობა აკლდა, ჭაბუკი სპორტსმენები ტრადიციულად მთელი მონდომებითა და აზარტით იბრძოდნენ და სპორტის სასახლეში თავმოყრილმა მცირერიცხოვანმა მაყურებელმა (ახლა, არდადეგების პერიოდში, ალბათ შეიძლებოდა სკოლების მოსწავლეთა ორგანიზებულად მიყვანა სპორტის სასახლეში) ბევრი ლამაზი ორთაბრძოლა იხილეს, ბევრი ნიჭიერი მოჭიდავე გამოარჩიეს.

მართალია, 62 კგ წონითს კატეგორიაში მოასპარეზე 31 მოსწავლისგან 17 საქართველოს გუნდის წევრი იყო, მაგრამ აქ ისინი კინაღამ უმედლოდ დარჩნენ, ქარელელ ზაზა იმერლიშვილს რომ არ ემარჯვა. მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (ჩემპიონი გახდა ბაქოელი ბაირამ ჰუსეინოვი, რომელმაც ფინალში მოუგო კურსკელ მაქსიმ ნოვოლოცკის).

62 კგ იყო ერთადერთი წონა, სადაც ჩვენი მოჭიდავეები შედარებით წარუმატებლად გამოვიდნენ. შემდგომ წონაში (68 კგ) შესანიშნავად ჩაატარა ყველა შეხვედრა თბილისის 115-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ალექსანდრე ღვინიაშვილმა (მწვრთნელი ვასო ლაზრიშვილი), რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა. მის თანაგუნდელსა და თანაქალაქელ კახა ბერუაშვილს ბრინჯაოს მედალი გადაეცა.

კასპის რაიონის ზემო ხანდაკის საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელი ბაკურ ერაშვილი (მწვრთნელი ნუგზარ მამულაშვილი) ხუთოსანი მოსწავლეა. მან თბილისის ტურნირზეც „ფრიადზე ჩააბარა გამოცდა“ და პირველი ადგილი დაიკავა. ამ წონაში სტუმართაგან მხოლოდ ტაშკენტელმა არმენ ბაღდასაროვმა შეძლო ბრინჯაოს მედლის მოპოვება. მეორე ბრინჯაოს მედალი გადაეცა ლენტეხელ კობა გველებიანს, ვერცხლისა — თბილისელ ირაკლი უზნაძეს.

საქართველოს ძიუდოისტებს მძიმე წონებში განსაკუთრებით ბევრი აქვთ მოპოვებული ჯილდო და ტიტული. გამონაკლისი არც ეს ტურნირი ყოფილა. ბოლო სამ წონით კატეგორიაში (83, 90 და +90 კგ) გათამაშებული 12 მედლიდან 9 მათ მოიპოვეს. ამ ბოლო წონაში საერთოდ მთელი კვარცხლბეკი საქართველოს წარმომადგენლებმა დაიკავეს. ჩემპიონი გახდა თბილისელი შალვა ბექაური, რომელმაც ფინალში სძლია დუშელ დავით ჰელიძეს. ბექაური თბილისის 165-ე საშუალო სკოლაში სწავლობს (მწვრთნელი სულიკო ფეიქრიშვილი). ბრინჯაოს მედლები გადაეცათ თბილისელ მამუკა ოდიშელიძეს და ახმეტელ რომან უძილაურს.

83 კგ წონითს კატეგორიაში ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რუკას გინტარისი (სსრკ) და ახმეტელი გიორგი გავარდაშვილი. ვერც ერთმა მეტოქემ ქულის აღება ვერ მოახერხა, მაგრამ აქტიურობისათვის მსაჯებმა ჩვენს მოჭიდავეს მიანიჭეს უპირატესობა და გავარდაშვილიც (მწვრთნელი ტარიელ შათირიშვილი) ტურნირის ჩემპიონი გახდა, სხვათა შორის — უკვე მესამე ახმეტის რაიონიდან. ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ ქარელელი ბესიკ ზაკუტაშვილი და სვენ ჰელბინგი (გდრ). საერთოდ, უცხოელ სპორტსმენთაგან საუკეთესოები მესამე ადგილზე წინ ვერ წავიდნენ.

ძალიან ძლიერი მეტოქეები შეხვდა რუსთაველ ვეფხია ავალიანს. მათ შორის იყო ქუთაისელი ვალერი კიბორძალიძე, რომელსაც იგი ფინალში ეჭიდავა. გამარჯვების ბედი აქაც მსაჯების აზრმა გადაწყვიტა — ჰანტეით გაიმარჯვა ავალიანმა (მწვრთნელი ვასილ ჩიხლაძე), ხოლო კიბორძალიძე ვერცხლის მედალს დასჯერდა. მედალოსნები გახდნენ კახა გუჯეჯიანი (მარნეულის რაიონი) და ოლეგ დიაგილევი (სსრკ), რომლებმაც მესამე ადგილები დაიკავეს.



ვეფხია ავალიანი



შალვა ბექაური

სულ ტურნირში საქართველოს მოჭიდავეებს რვა პირველი, ხუთი მეორე და თერთმეტი მესამე ადგილი ხვდათ. შედეგი კარგია, ოღონდ, კიდევ ვიმეორებთ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ასეთი გამარჯვებები არ გაუფასურდეს.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

სასკოლო ფიზკულტურა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა

# ერთი სპორტსკოლის პრობლემები

ბიბლიოთეკა

**გურჯაანში** ვისაც კი ოდნავ გული შესტკივა სპორტზე, არ შეიძლება კმაყოფილებით არ აღნიშნოს ის სასიკეთო ფერისცვალება, რაც განათლების განყოფილების სპორტსკოლის კომპლექსმა განიცადა — კაპიტალური რემონტის შემდეგ იგი თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს — სპორტული თამაშების დარბაზი, დახურული 25 მეტრიანი საცურაო, ორი ოთახი სრული სათანადო აღჭურვილობით ჭადრაკში მომეცადინეებისათვის, 14 ტრენაჟორით და შვედური კედლებით მოწყობილი ოთახი საერთო ფიზიკური მომზადებისათვის, ხუთი ჩოგბურთის მაგიდა, საშხაპეები და გასახდელები, კაფე და სხვა დამხმარე სათავსოები, გათბობა — ყველაფერი მუდმივ მზადყოფნაშია სპორტულ და გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინეთათვის. სკოლა სპორტული ინვენტარის ქრონიკული დეფიციტისგანაც განიკურნა, თუმცა ინვენტარის ხარისხი ყოველთვის როდია დამაკმაყოფილებელი — ამაში კი მარტო სპორტსკოლის ხელმძღვანელობას ვერ დავადანაშაულებთ.

მთავარი მაინც სპორტსკოლის გარეგნული იერის შეცვლა არაა, მისმა ახალმა ხელმძღვანელობამ თავისი საქმიანობა დაიწყო იმით, რომ ბოლო მოუღო ათწლეულების განმავლობაში არსებულ სიყალბეს. ადრე, ქაღალდებს თუ დავუჯერებდით, 39 ჯგუფში 480-მდე მოზარდი ოსტატდებოდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 16 ჯგუფი ფუნქციონირებდა (160 სპორტსმენი). აქაც ხშირად ცდებოდა სასწავლო პროცესები მწვრთნელთა მიზეზით, რისთვისაც მათ არავინ სჯიდა. ახლა ასე აღარაა. დღეს გურჯაანის სპორტსკოლის ბაზაზე სპორტულ და გამაჯანსაღებელ ჯგუფებში 200-მდე მომეცადინე ვარჯიშობს. მათთვის და მათი მწვრთნელებისთვის ადგილზე კარგი პირობებია შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისათვის. მაგრამ თვით ციფრი 200 ძალიან ცოტაა 12 ათასიანი დასახლებისათვის — სკოლა არასაკმარისადაა დატვირთული. ზემოაღნიშნულისა და სხვა მიზეზთა გამო სკოლამ ათწლეულების განმავლობაში ვერ მოიპოვა ავტორიტეტი მოსახლეობაში, ყოველგვარი პრესტიჟი დაკარგა და ახლა მის ხელმძღვანელობას, თითოეულ მწვრთნელს, თვით მომსახურე პერსონალსაც დიდი მონდომება და შრომა სჭირდებათ, რათა სკოლას დაკარგული ავტორიტეტი დაუბრუნონ.

ერთ-ერთი უმთავრეს მიზეზთაგანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემა. სპორტსკოლა ისედაც საკმაოდ შორს მდებარეობს ქალაქის ცენტრიდან, მისასვლელი გზა კი ვინ იცის რამდენი წელიწადია მწყობრიდანაა გამოსული. მის შეკეთებაზე არავინ ფიქრობს. სარეისო ავტობუსი, რომლის მარშრუტი სკოლაზეც გადის, ან იშვიათად გამოჩნდება აქ, ან საერთოდ გვერდს უქცევს გზის ამ მონაკვეთს. სპორტსკოლაში მიმავალი ბავშვები, გზის შემოკლების მიზნით, აკრძალულ ადგილებში ჰკვეთავენ რკინიგზის ხაზს, რაც მათ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს. ამის შესახებ სარკინიგზო მეურნეობამ უკვე გააფრთხილა სპორტული კომპლექსის ხელმძღვანელობა.

სკოლის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი ხმარდება საცურაო აუზის შენახვას, ამიტომ თუ იგი მაქსიმალურად არ იქნა დატვირთული და ნაწილობრივ მაინც არ აანაზღაურა მასზე გაწეული ხარჯები, მთელ სკოლას ფინანსური კრახის წინაშე დააყენებს. თუმცა როგორ გინდა დატვირთო საცურაო აუზი, თუ რაიონში ერთი კვალიფიციური მწვრთნელიც არა გვყავს? ასევე არასაკმარისია კვალიფიციური კადრები (ადგილობრივი) მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, მოწვეული სპეციალისტები კი, მოგეხსენებათ, ძალიან ძვირად ფასობენ და სკოლა ვერ შეძლებს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

**ალექსანდრე პაპოშვილი.**

გურჯაანი. „ლელოს“ საკ. კორ.

**რედაქციისგან:** ვფიქრობთ, მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება. მთავარია, ყველამ, ვისაც ამ საკითხების მოგვარება ეხება, გულთან ახლოს მიიტანოს პრობლემები და ერთობლივი ძალით იბრძოლოს მათ გადასაჭრელად, ცხადია, რაიონის ხელმძღვანელების მხარდაჭერით და შემწეობით. ველით პასუხს.

SOS

# სკოლის დარბაზი დატბორილია

სოფლელი ახალგაზრდობის, კონკრეტულად, ჩემი თანასკოლელების — საჩხერის რაიონის სოფელ ჭალაურთის საშუალო სკოლის მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების კონდიციები დღევანდელ მოთხოვნათა დონეს არ შეესაბამება. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს განსაკუთრებით ჩვენი გოგონების ფიზიკური განვითარება. არადა, მდგომარეობის გამოსწორება ჩვენი სკოლის დარბაზში ყოვლად შეუძლებელია.

ფიზკულტურის გაკვეთილები ზამთარში ჩვეულებრივ საკლასო ოთახში ტარდება. სპორტული მოედანი თოვლითაა დაფარული, დარბაზი კი წყლითაა სავსე. დარბაზიდან წყალს ვიღებდით და გაკვეთილები ისე ტარდებოდა, ამჟამად კი იქ შესვლა ყოვლად შეუძლებელია, იგი მუხლებამდე მთლიანადაა დატბორილი. საქმე კარგად არც სხვა სოფლებშია.

გთხოვთ გამოგვიწოდოთ დახმარების ხელი. მარტო ჩვენ და ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებელი ამ საქმეს ვერ ვერევით.

წინასწარ გიხდით მადლობას.

**კობა ნოზაძე,**

საჩხერის რაიონის სოფელ ჭალაურთის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე.

# აჭარის სპორტულ ბაზებზე

**ბათუმის** სპორტულ ბაზებზე დამთავრდა ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი საქალაქო სპარტაკიადა.

საწარმოო ორგანიზაციებს შორის გაიმარჯვეს მექანიკური ქარხნის სპორტსმენმა ქალებმა (ფიზმეთოდისტი ნ. იავორსკაია), მეორე ადგილზე ტრანსფორმატორის ქარხნის წარმომადგენლები, მესამე ადგილზე კი ფეხსაცმლის საწარმოო ვაჭრობის ფირმა „ბათუმის“ კოლექტივი გამოვიდა.

სასწავლო დაწესებულებათა შორის სპარტაკიადის პროგრამის ყველა სახეობაში (კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, ჭადრაკი) საუკეთესო იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის კოლექტივმა და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელმა დაიკავეს.

**ბათუმის** პიონერთა და მოსწავლეთა პარკში გამართულ მძლეოსნურ კროსში, რომლის ორგანიზატორი იყო პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქალაქო საბჭო, 800-ზე მეტმა მძლეოსანმა ქალმა მიიღო მონაწილეობა. ყველაზე საუკეთესო და მრავალრიცხოვანი იყო პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდი.

**ქალაქის** სასწავლო დაწესებულებათა პირად-გუნდურ პირველობაზე 50 მეტრზე ტყვიის სროლაში ქალებთან ერთად ვაჟებმაც იასპარეზეს. გუნდური პირველობა მოიგო საზღვაოსნო სასწავლებლის კოლექტივმა. მის ანგარიშზეა 490 ქულა 600 შესაძლებლიდან. მეორე ადგილზეა საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის, ხოლო მესამეზე პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდები.

პირად შეჯიბრებაში, ქალთა შორის საუკეთესო იყო საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის მოსწავლე ლილი ანანბა (87 ქულა 100-დან). ორი ქულით ნაკლები მოაგროვა მომავალმა პედაგოგმა იოლანტა ქესოღლიმ. მესამე ადგილზე მემანქანეთა სკოლის მოსწავლე ლია ცხომელიძე გავიდა.

ვაჟთა შორის გაიმარჯვა № 44 პროფტექნიკური სასწავლებლის წარმომადგენელმა ვაჟა თამაზაშვილმა (93 ქულა 100-დან). 92-92 ქულა მოაგროვეს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა იაკობ ბოლქვაძემ და საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის მუშამ გრიგოლ სირაკონიანმა.

**ლევან ქავთარაძე.**

## მოკლედ

**ჩვენი** სპორტული შედეგების გაუმჯობესებაზე დიდი გავლენა იქონია ახალი სპორტული დარბაზის აშენებამ. შევქმენით კალათბურთისა და ფრენბურთის სექციები, რომლებსაც ფიზკულტურის მასწავლებლები ვაჟა ძველაია და მურმან ბოკუჩავა ხელმძღვანელობენ. ჩვენი მთავრი ამოცანა იყო კალათბურთში რაიონის ჩემპიონები გავმხდარიყავით. ვაჟებმა მიზანს მივაღწიეთ, გოგონები კი მეორე ადგილზე გავიდნენ.

**მამუკა ძველაია,**

აბაშის მე-2 საშუალო სკოლის სპორტული სექტორის ხელმძღვანელი.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
### უმაღლესი ლიგა

**„როტორი" (ვოლგოგრადი)— „დინამო" (თბილისი) 1:1 (0:0)**

ვოლგოგრადი. ცენტრალური სტადიონი. 21 მარტი.

**„როტორი":** პრიხოდკო, ოსკოლკოვი, ს. კუზნეცოვი, სტოგოვი, კალიტვინცევი, ხომუტეცკი, ხუდოროჟკოვი (ბორისოვი), კრუშინი, სუროვიკინი, ნიკიტინი, სერგეევი.

**„დინამო":** გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჰედია, თეთრაძე (სვანაძე), თედეევი, ჯიშკარიანი, ცვეიბა, ქეცბაია (ცაავა), ფანცულაია, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი მ. იოფე (მოსკოვი).

გააფრთხილეს გოგიჩაიშვილი.

დუბლიორები — 1:1.

**საკავშირო** ჩემპიონატის პირველ ორ მატჩში ვოლგოგრადელმა ფეხბურთელებმა სულ ერთი ქულა აიღეს. ალბათ, ეს უხეირო სტარტი გახლდათ იმის მიზეზი, რომ სასწრაფოდ გაათავისუფლეს გუნდის მთავარი მწვრთნელი პ. შუბინი და თვით ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს უმაღლესი ლიგის მორიგ მატჩში საკუთარი გულშემატკივრების წინაშე ყველაფერი გაეკეთებინათ გამარჯვების მოსაპოვებლად. მაყურებელთა ინტერესი მატჩის მიმართ ერთობ დიდი იყო. მასპინძლებმა მთელი ძალით დაიწყეს თამაში, მაგრამ რამდენადმე მაინც შესამჩნევ უპირატესობას ვერ მიაღწიეს, ბრძოლა უმთავრესად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა. ორივე გუნდის მოთამაშეები ხშირად კარგავდნენ გადაცემებს, სახიფათო მომენტი თითქმის არ შექმნილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ კარგ შესაძლებლობას, რომელიც ვერ გამოიყენა ნიკიტინმა.

მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა მეორე ტაიმში. გუნდები შესამჩნევად გააქტიურდნენ, ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა შეექმნათ ჯერ ჯიშკარიანს, შემდეგ სერგეევს. შუა ტაიმში კვლავ სახიფათო პოზიციაში აღმოჩნდა ნიკიტინი და მისი ორი ძლიერი დარტყმა ზედიზედ მოიგერია გაბელიამ.

მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, მასპინძლები განაგრძობდნენ აქტიურ თამაშს და აქ, 78-ე წუთზე „როტორის" მცველებმა შეცდომა დაუშვეს, რაც კარგად გამოიყენა ფანცულაიამ. მან ძლიერად, ზუსტად დაარტყა კარში, პრიხოდკომ ვერ შეძლო ბურთის მოგერიება და სტუმრები დაწინაურდნენ — 1:0.

მატჩის დასასრულამდე ბევრი აღარ იყო დარჩენილი, მასპინძლები კვლავ და კვლავ უტევდნენ. 86-ე წუთზე ნიკიტინმა ისარგებლა დინამოელთა კართან შექმნილი ვითარებით და საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1. აღსანიშნავია, რომ ნიკიტინმა ეს გააკეთა ფრიად საეჭვო ვითარებაში, რომელიც თამაშგარე მდგომარეობას წააგავდა. მატჩის არბიტრმა იოფემ მოკლე კონსულტაცია ჩაატარა გვერდით მსაჯ ვიშნევსკისთან და თბილისელთა კარი აღებულად ჩათვალა — 1:1.

თბილისის „დინამოს" ახლა საკავშირო ჩემპიონატის პირველი 3 ტურის მატჩებში 3 ფრე აქვს და, შესაბამისად, 3 ქულა. წინ კი მეტად ძნელი თამაშია მოსკოვის „ტორპედოსთან", რომელიც 30 მარტს შედგება მოსკოვში, მასპინძელთა სტადიონზე.

მატჩის ტელეტრანსლაცია დაიწყება 20 საათსა და 15 წუთზე თბილისის დროით, ხოლო რადიორეპორტაჟი — 20 საათსა და 30 წუთიდან.

### სხვა მატჩები

25-27 მარტს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის III ტურის შეხვედრები.

**„ტორპედო"** — **„სპარტაკი"** 0:0
**„ჟალგირისი"** — **„პამირი"** 4:0
**„დინამო" მნ.** — **„დინამო" მ.** 2:1
**„მეტალისტი"** — **„არარატი"** 0:0
**„ლოკომოტივი"** — **„ჩერნომორეცი"** 1:1
**„დინამო" კ.** — **„დნეპრი"** 1:0

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

### ბელგია

**26-ე ტური.** „ბეერსკოტი" — „ბევერენი" 3:1, „შარლერუა" — „სტანდარდი" 0:0, „კორტრიკი" — „ვარეგემი" 2:0, „რესინგი" — „სერკლი" 0:1, „სენტ ტრუდენი" — „ლიერსი" 0:0, „ბრიუგე" — „ანდერლეჰტი" 1:1, „ლოკერენი" — „მეჰელენი" 0:3, „ლიეჟი" — „ანტვერპენი" 0:1, „მოლენბეკი" — „გენკი" 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მეჰელენი" | 26 | 53-14 | 45 |
| „ანდერლეჰტი" | 26 | 63-26 | 39 |
| „ანტვერპენი" | 26 | 49-28 | 35 |

### ჰოლანდია

**25-ე ტური.** „როდა" — „სპარტა" 1:1, „ვალვიკი" — „ცვოლე" 1:1, „ჰარლემი" — „ვეენდამი" 1:0, „გრონინგენი" — „ტილბურგი" 5:3, „უტრეჰტი" — „დენ ბოში" 1:2, „ტვენტე" — „სიტარდი" 0:0, „ეინდჰოვენი" — „აიაქსი" 1:4, „მაასტრიჰტი" — „ვენლო" 2:0, „ფეიენოორდი" — „ვოლენდამი" 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი" | 25 | 59-26 | 39 |
| „აიაქსი" | 25 | 53-28 | 35 |
| „ტვენტე" | 25 | 36-18 | 31 |

### შვეიცარია

**ფინალური ჯგუფის I ტური.** „ბელინცონა" — „ქსამაქსი" 0:0, „სიონი" — „სერვეტი" 3:2, „ვეტინგენი" — „გრასჰოპერსი" 2:0, „იანგ ბოისი" — „ლუცერნი" 1:2.

| | |
|---|---|
| „ლუცერნი" | 16 |
| „ვეტინგენი" | 14 |
| „სიონი" | 14 |

### საფრანგეთი

**30-ე ტური.** „კანი" — „მარსელი" 3:1, „სენ ჟერმენი" — „მონპელიე" 3:2, „ოსერი" — „ტულუზა" 0:0, „მონაკო" — „[illegible]" 0:0, „ნანტი" — „რესინგი" 1:0, „ტულონი" — „ლილი" 2:1, „ლანი" — „ნიცა" 2:0, „მეცი" — „სტრასბურგი" 1:1, „ბორდო" — „ლავალი" 2:1, „კაენი" — „სენტ ეტიენი" 2:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სენ ჟერმენი" | 30 | 45-29 | 57 |
| „მარსელი" | 30 | 37-22 | 56 |
| „ოსერი" | 30 | 34-24 | 54 |

### პორტუგალია

**30-ე ტური.** „ბენფიკა" — „ლეიქსოეში" 2:1, „პორტო" — „ფაფე" 1:0, „პენაფიელი" — „ბოავიშტა" 1:2, „ესპინიო" — „სპორტინგი" 0:2, „გიმარაეში" — „ამადორა" 0:2, „პორტიმონენსე" — „სეტუბალი" 3:0, „ვისეუ" — „ნასიონალი" 0:2, „ბელენენსეში" — „ბეირა მარი" 3:0, „ფარენსე" — „ბრაგა" 1:2, „მარიტიმო" — „შავიში" 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 30 | 48-11 | 50 |
| „პორტო" | 30 | 39-14 | 43 |
| „ბოავიშტა" | 30 | 42-21 | 39 |

### არგენტინა

**27-ე ტური.** „სან მარტინი" — „ინდეპენდიენტე" 0:3, „პლატენსე" — „ესტუდიანტესი" 2:4, „ბოკა ხუნიორსი" — „როსარიო სენტრალი" 2:1, „სან ლორენსო" — „ტალერესი" 2:1, „ფეროკარილ ოესტე" — „არგენტინოს ხუნიორსი" 0:0 (4:3), „რესინგი კორდობა" — „დეპორტივო მანდიუ" 0:0 (1:3), „რესინგი ბაიერსი" — „დეპორტივო არმენიო" 2:2 (3:5), „ნეველს ოლდ ბოისი" — „ველეს სარსფელდი" 1:1 (3:4), „ინსტიტუტო" — „დეპორტივო ესპანიოლი" 2:4, „გიმნასია ესგრიმა" — „რივერ პლეიტი" 0:0 (5:4).

| | | |
|---|---|---|
| „ბოკა ხუნიორსი" | 27 | 55 |
| „ინდეპენდიენტე" | 27 | 52 |
| „გიმნასია ესგრიმა" | 27 | 51 |

(საქ. ინფ.)

## იტალია—ავსტრია 1:0

**ვენაში** შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში, ერთმანეთს შეხვდნენ ავსტრიისა და იტალიის ნაკრები გუნდები.

თამაში მოიგეს იტალიელებმა ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი ბურთი მატჩის მეორე ნახევარში გაიტანა ნიკოლა ბერტიმ.

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სპორტულ აკრობატიკაში

## კაცი გ[illegible]

**კარგა** ხანია ტრადიციად იქცა — წლის დასაწყისში ჩვენი რესპუბლიკის აკრობატები „ფორმაში" არ არიან. ძირითადი მიზეზი ისაა, რომ „საზამთრო" სავარჯიშო პირობები არ გვივარგა. მიუხედავად ამისა, კიშინიოვში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებისგან წარმატებას ველოდით. ჩვენი ვარაუდით, ოქროს მედლები უნდა მოეპოვებინათ ვლადიმერ გურგენიძის აღსაზრდელებს, მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონებს — ნატალია ანისიმოვას, ინგა გიორგობიანსა და სვეტლანა მაკარიჩევას. ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშში საპრიზო ადგილზე გასვლის დიდი შანსი ჰქონდათ ემზარ აბუაშვილს, დიმიტრი კარტოზიას, ვაჟა არაყიშვილს და ნიკოლოზ მჭედლიძეს. ამას გარდა, გუნდი მესამე ადგილზე უნდა გასულიყო. სამწუხაროდ, ჩვენ „ჰიპოთეზაში" კორექტივები იმათ შეიტანეს, ვისგანაც ამას ყველაზე ნაკლებად ველოდით — მსოფლიო ჩემპიონებს ხელი მოეცარათ და მეოთხე ადგილზე დარჩნენ. ეს მით უფრო საწყენია, რომ ჩვენს გოგოებს საბჭოთა კავშირში ბადალი არა ჰყავთ.

თუ როგორ წარიმართა შეჯიბრება, ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს რესპუბლიკის სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი აკრობატიკაში ნუგზარ ძუკაევი.

— ჩემპიონატის სარბიელზე საქართველოს ნაკრები სრული გუნდით წარდგა. ნაკრების გარდა პირად შეჯიბრებაში გამოდიოდა გოგონათა სამეული, ვაჟთა ოთხეული და ორი მხტომელი ვაჟი. ჩვენი გუნდის ლიდერებმა (სამეულმა) გამოსვლა ჩვეული ოსტატობით დაიწყეს, პირველ ორ ვარჯიშში ყველაზე მეტი — 9,9-9,9 ქულა დააგროვეს და მცირე ოქროს მედლები დაისაკუთრეს. სამწუხაროდ, მეორე ორ ფინალურ ვარჯიშში ყველაზე რთული ელემენტის — სამმაგი მალაყის შესრულებისას მათ დასანანი შეცდომები მოუვიდათ, შესაბამისად 8,4 და 8,9 ქულა მიიღეს და საპრიზო ადგილზე გასვლის იმედი გადაეწურათ. ბოლო, კომბინირებულ ვარჯიშში ჩვენმა გოგოებმა 9,9 ქულა დაიმსახურეს, მაგრამ ეს მხოლოდ იმისთვის აღმოჩნდა საკმარისი, რომ საერთო ჯამში მათთვის უჩვეულო მეოთხე ადგილზე გასულიყვნენ.

მოკლედ ვიტყვი, მსოფლიო ჩემპიონების წარუმატებელი გამოსვლის მიზეზი ისაა, რომ მათ წონაში მოიმატეს. ამ შეჯიბრების შედეგმა ჩვენს გოგოებს რეპუტაცია ვერ შეულახა, მაგრამ ახლა მთავარია მსოფლიო თასისთვის ასპარეზობის წინ (ეს შეჯიბრება შემოდგომაზე გაიმართება რიგაში) საკავშირო თასის გათამაშებაში წარმატებას მიაღწიონ. საქმე ისაა, რომ საბჭოთა ნაკრების წევრებს ძირითადად სწორედ ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით შეარჩევენ.

რა შეიძლება ითქვას ოთხეულის გამოსვლაზე? ვინმეს წინასწარ რომ შემოეთავაზებინა მესამე ადგილი, ჩვენ ალბათ თანახმა ვიქნებოდით. მაგრამ შეჯიბრე-



ბის მსვლელობამ ნათლად დაგვანახა — თბილისელებს უფრო მაღალი მიჯნის დალაშქვრა შეუძლიათ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონები— კრასნოდარელთა ოთხეული. თბილისელები საუკეთესონი იყვნენ ამ შეჯიბრებაში. ისინი მთელი სამი დღის მანძილზე ლიდერობდნენ, ორი მცირე ოქროს მედალიც მოიპოვეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ემზარ აბუაშვილს ფეხი გადაუბრუნდა, [illegible] კომბინირებულ ვარჯიშში ტრავმირებული გამოვიდა. ოთხეულმა თითქმის უშეცდომოდ შეასრულა პროგრამა, მაგრამ, რადგან მათ ლიდერს მოძრაობა უჭირდა, ვარჯიშს სირთულე აკლდა. მსაჯებმა ეს გამოსვლა ერთით ნაკლები ქულით შეაფასეს (7,76 ქულა). საერთო ჯამში თბილისელები 45,41 ქულით მესამე ადგილზე გავიდნენ. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ჩემპიონმა და ვერცხლის პრიზიორებმა — ტოლიატისა და კიევის ოთხეულებმა — შესაბამისად 46,19 და 46,16 ქულა დააგროვეს.

ჩვენი გუნდის წევრთაგან წარმატებით იასპარეზეს მწვრთნელ დავით გაგოშვილის აღსაზრდელებმა თამარ ბეროზაშვილმა და თინა ვარდიძემ. მათ საპატიო მეხუთე ადგილი დაიკავეს. მეცამეტე ადგილებზე გავიდნენ ზვიად კვაჭაძე-ზაზა ნინუა და ირმა ოვოიანი-რომანოზ კუხალეიშვილი.

დიდი ხნის შესვენების შემდეგ მხტომელთა სექტორში კვლავ ვიხილეთ „ძველი" გვარდიის წარმომადგენლები, IX საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი ფატი სულაქველიძე და მსოფლიო თასის გათამაშების მცირე ვერცხლის მფლობელი გია მარმარაშვილი. ფატი მე-16 ადგილზე დარჩა. მიუხედავად ამისა, იგი პირველ ვარჯიშში მეხუთე იყო, ხოლო მეორეში ვერცხლის მცირე მედალი მოიპოვა. კომბინირებულ ვარჯიშში ფატის ტემპი დააკლდა და სწორედ ამან გამოიწვია მისი დაბალი შედეგი. რაც შეეხება გია მარმარაშვილს, მისი მეხუთე ადგილი კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს, თუ იმასაც ვიტყვით, რომ პირველ ვარჯიშში ქართველმა სპორტსმენმა ბრინჯაოს მცირე მედალი მოიპოვა.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: რსფსრ — 324,905, უკრაინა — 324,725; საქართველო — 279,515.

ზაფხულში ჩვენს აკრობატებს საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში მონაწილეობა ელით. გუნდი ძირითადად კიშინიოვში გამოსული აკრობატებით დაკომპლექტდება. იმედი გვაქვს, ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელები ყველაფერს გააკეთებენ, რომ შეჯიბრებამდე დარჩენილი დრო ნაყოფიერად გამოიყენონ.

საუბარი ჩაიწერა
**ჯემალ კასრაძემ.**

**სურათზე:** ბრინჯაოს მედალოსნები ემზარ აბუაშვილი, დიმიტრი კარტოზია, ვაჟა არაყიშვილი და ნიკოლოზ მჭედლიძე.

### ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჭიდაობაში

## მხოლოდ ორი გუნდი

**საყოველთაოდ** ცნობილია, რომ ძირითადად ქართული ჭიდაობის ილეთების სიმდიდრის წყალობით გვყავდა და გვყავს მსოფლიოს, ევროპის, ოლიმპიური და სსრ კავშირის ჩემპიონები ჭიდაობის კლასიკურ სახეობებში. ამიტომ მისი განვითარება შეუნელებელი ყურადღების ქვეშ უნდა იყოს.

— ვიდრე გაერთიანდებოდნენ, „კოლმეურნეს", „განთიადის", „სპარტაკის" გუნდები პროფკავშირების სპორტსაზოგადოებაში — გვითხრა საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა ქართულ ჭიდაობაში სიმონ მაისურაძემ — დაახლოებით თანაბარი ძალისა იყვნენ, ახლა კი მათი შერწყმით პროფკავშირების კოლექტივი აშკარად გაძლიერდა...

სწორედ პროფკავშირელმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ხაშურის სპორტკომპლექსში გამართულ საქართველოს პირველობაში ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის (1972-1973 წწ. დაბადებულები), რომელთაც მეტოქეებად ჰყავდათ მარტო დინამოელები. გაურკვეველი მიზეზების გამო შეჯიბრებებზე არ გამოცხადდნენ სხვა კოლექტივების წარმომადგენლები და პირველობისთვის ბრძოლა ორ გუნდს შორის გაიმართა.

— ხაშურელმა სპორტის მოყვარულებმა მეტად ლამაზი და მიმზიდველი ჭიდაობა იხილეს, — განაგრძო ს. მაისურაძემ, — განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მძიმე წონის მოჭიდავეების პ. მულაძისა და ა. დვალიშვილის ლამაზი ფინალური ორთაბრძოლა, სადაც პირველმა გაიმარჯვა. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ჯ. ლომსაძემ, გ. მანძულაშვილმა, გ. ელბაქიძემ და სხვებმა.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ქართულ ჭიდაობაში ძალზე ცოტა გვყავს მწვრთნელები, ვინც არიან, ისინიც შეთავსებით, ან საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ...

გაცნობებთ გამარჯვებულებს:

**52 კგ.** ი. ათაბეგაშვილი; **56 კგ.** ვ. შუშაბერიძე; **60 კგ.** ჯ. ლომსაძე; **64 კგ.** დ. რუაძე; **68 კგ.** ზ. ერაშვილი; **72 კგ.** ვ. ელბაქიძე (ყველა — პროფკავშირები); **76 კგ.** ზ. ბალაშვილი („დინამო"); **80 კგ.** ვ. კუთხაშვილი; **+80 კგ.** პ. მულაძე (ყველა — პროფკავშირები).

**გია ბურდული.**

### ქულანახევარი დაკარგა

**ვანში** გაიმართა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა. საკმაოდ კარგი შედეგით (14 შესაძლებლიდან 12,5 ქულა, 12 გამარჯვება) გაიმარჯვა ცხაკაიელმა სპორტის ოსტატმა გოჩა ტყებუჩავამ. 11-11 ქულით II-III ადგილები გაიყვეს წყალტუბოელმა რაულ კაპანაძემ და რუსთაველმა ფრიდონ ყალაგაშვილმა.

**ზურაბ მაჟავარიანი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

### მკითხველთა წერილები
## „სპორტული" ან „დინამო"

**ჩვენ** ჯეროვან პატივს მივაგებთ დიდი მამულიშვილების ხსოვნას და სწორადაც ვიქცევით, როცა ქალაქის გამზირებს, ქუჩებს, მოედნებს და მეტროსადგურებს სახელოვან წინაპართა სახელებს ვარქმევთ. მაგრამ, ჩემი აზრით, ზოგიერთ შემთხვევაში (თუ, რა თქმა უნდა, საშუალება გვაქვს და საქმისთვისაც ასე აჯობებს) სპორტიც არ უნდა დავივიწყოთ.

ხომ არ აჯობებდა, მაგალითად, მეტროპოლიტენის სადგურ „ვაგზლის მოედანი—2"-ს (საბურთალოს ხაზზე გადასასხდომს) დარქმეოდა „სპორტული" ან „დინამო". თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი ხომ იქვე ახლოსაა.

**მზია მეგალიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრიუმფი ჩიმკენტის რინგზე






**საქართველოს** ჭაბუკ მოკრივეებს ამ ორიოდე წლის წინათ ქუთაისის სარბიელზე მოპოვებულ ქვეყნის სპორტსკოლების აღსაზრდელთა პირველ საკავშირო თამაშებში დიდი წარმატების შემდეგ ასეთი გამარჯვებისთვის არსად მიუღწევიათ. ქუთაისის ტურნირი შემთხვევით არ გაგვიხსენებია. საქმე ის არის, რომ მაშინ, 1987 წლის ზაფხულში გამართულ ორთაბრძოლებში ბრწყინვალედ გამოვიდნენ მასპინძლები — საქართველოს მოკრივეები, რომლებმაც გუნდურ პირველობასთან ერთად პირად ჩემპიონატშიც ისახელეს თავი და 7 ოქროს მედალი დაიმსახურეს. მათ ანგარიშზე იყო, აგრეთვე, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოებიც.

და აი, ახალი წარმატება, რომელიც ამ დღეებში ყაზახეთის ქალაქ ჩიმკენტში მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ქვეყნის პირველობაზე. აქ ჩვენი თოთხმეტი მოკრივე იცავდა სხვადასხვა სპორტსაზოგადოების ღირსებას (შეჯიბრება ჩატარდა სპორტსაზოგადოებებს შორის). ჩიმკენტიდან შინ ოთხი ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დაგვიბრუნდა სამი კი ბრინჯაოს მედალოსანი გახდა.

ჩვენმა მკითხველმა ამას წინათ შეიტყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტის ზურაბ ფალიანის წარმატების შესახებ. მან ჩელიაბინსკში პროფკავშირთა ასპარეზობაში 71 კგ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა. სასიხარულოა, რომ მესტიელმა ჭაბუკმა ჩიმკენტშიც გააგრძელა გამარჯვებათა სერია და კვლავ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. თუმცა საკმაოდ რთული გამოდგა ეს გზა. პირველ შეხვედრაში მისი მეტოქე იყო უზბეკი სპორტის ოსტატი ჯამბულატ მაკულოვი. სამმა მსაჯმა გამარჯვებულად ქართველი მოკრივე სცნო — 3:2. მომდევნო ბრძოლებში ზ. ფალიანმა სძლია კიროვაკანელ არაიკ გრიგორიანს, ქუთაისელ გია გოლეთიანს („შრომითი რეზერვები“), ფინალში დაამარცხა რინგის მასპინძელი ასაუტ უმაროვი. ამ წარმატებაში წვლილი მიუძღვის მწვრთნელ გ. შახსუვარიანს. ამდენივე ბრძოლა მოიგო „შრომითი რეზერვების“ აღსაზრდელმა კახა ბარავიმ (51 კგ, თბილისი, მწვრთნელები ი. შეპეტკოვი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ხაჩატუროვი). თავი ისახელა აგრეთვე მწვრთნელ ალექსეი ბორტნიკოვის მოწაფემ, სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო პირველობის გამარჯვებულმა დიმიტრი ავდალიანმაც („შრომითი რეზერვები“, (+91 კგ), რომელმაც დიდი უპირატესობით (5:0) მოიგო ოთხივე ბრძოლა და ჩემპიონობა მოიპოვა. ასეთივე შედეგს მიაღწია მისმა თანაკლუბელმა არმენ ბურდიანცმა (91 კგ, მწვრთნელი დ. შიუკაშვილი). წინასწარ შეხვედრებსა და ფინალში მან მშრალი ანგარიშით 5:0 გაიმარჯვა.

მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ თბილისელი კახა ჩიქვინიძე (57 კგ, „შრომითი რეზერვები“), რუსთაველი ვაგიფ აბასოვი (67 კგ, პროფკავშირები) და ქუთაისელი გია გოლეთიანი (71 კგ, „შრომითი რეზერვები“), რომლებმაც დამაჯერებლად მოიგეს ორ-ორი შეხვედრა. ისინი, გამარჯვებულ მეგობრებთან ერთად, ჩარიცხულნი არიან ქვეყნის იუნიორთა ნაკრებ გუნდში, რომელიც მოემზადება უახლოეს დიდ საერთაშორისო ასპარეზობებისათვის.

**უ. ჯიჯინაძე.**

**სურათებზე: სსრ კავშირის 1989 წლის ჩემპიონები მარცხნიდან — კ. ბარავი, ზ. ფალიანი, დ. ავდალიანი, ა. ბურდიანცი.**

# უფრო შორს გავიხედოთ

**ამიერკავკასიის** რესპუბლიკების მებაიდარეთა და კანოისტთა სამატჩო შეხვედრებს კარგა ხნის ისტორია აქვს, მაგრამ, ცნობილ მიზეზთა გამო, ორი წელია, ეს შეჯიბრება არ გამართულა. ახლახან ტრადიცია აღდგა — ფოთში კვლავ შეიკრიბნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ნიჩბოსნები, რომელთაც ამჯერად უკონკურსოდ მოასპარეზე შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის ნაკრების წევრებიც შეუერთდნენ. აქვე ვიტყვით, რომ მეზღვაურთა გამოსვლამ საგრძნობლად აამაღლა შეჯიბრების სპორტული დონე — მათი გუნდი ხომ, ფაქტობრივად, უკრაინის მეორე ნაკრებია.

საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისათვის მზადების პერიოდში ყველა შეჯიბრებას, მოგეხსენებათ, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და ძალების შემოწმების საუკეთესო საშუალებად ითვლება. გამონაკლისი არც ეს ასპარეზობა გახლდათ, მით უმეტეს, რომ მისი პროგრამა ისე იყო შედგენილი, მწვრთნელებს ნათელი წარმოდგენა უნდა შექმნოდათ თითოეული სპორტსმენის საბრძოლო მზადყოფნაზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე — შეჯიბრების დებულებით, ნიჩბოსნებს 500 და 2000-მეტრიან დისტანციებზე მხოლოდ ერთადგილიანი ნავებით უნდა ესპარეზათ.

საქართველოს ნაკრების წევრთათვის ეს შეჯიბრება წელს პირველი ოფიციალური ასპარეზობა გახლდათ. შეჯიბრებებით განებივრებული, ალბათ, არც მათი მეტოქეები იყვნენ, ასე რომ, შეიძლება ითქვას, შანსები თანაბარი იყო, თუმცა საბოლოოდ, გუნდური შედეგების დაჯამების შემდეგ, აშკარად გამოიკვეთა ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსანთა უპირატესობა: 1. საქართველო — 111 ქულა, 2. სომხეთი — 77, 3. აზერბაიჯანი — 74. ეს უპირატესობა უფრო საგრძნობი იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა: საქართველოს ნაკრების წევრთაგან საუკეთესონი — სოხუმელი ირაკლი ხოშტარია და მცხეთელი ნინო მუსოევა საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში, რუსთაველი გიორგი კახიშვილი კი „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ნაკრების შეკრებებზე იყვნენ მიწვეული.

ერთი სიტყვით, ჩვენმა ნიჩბოსნებმა „სამეზობლოში“ თავი გამოიჩინეს, მაგრამ, რაკი წინ ახალგაზრდული თამაშები გვიდევს, ყველაფერი, ცხადია, ამ თამაშების „არშინით“ უნდა გავზომოთ, ესე იგი, უფრო შორს გავიხედოთ და რეალურად, ობიექტურად შევაფასოთ ამ შეჯიბრების შედეგი და წლევანდელი სეზონის უმთავრეს ასპარეზობაში გამოსვლის პერსპექტივა. ანალიზისა და პროგნოზისათვის ზოგადი და ყველასთვის ცნობილი არგუმენტების მოშველიება არ დაგვჭირდება — შავი ზღვის ფლოტის წარმომადგენლებმა „საქმე გაგვიიოლეს“, კონკრეტული და ამომწურავი პასუხი გაგვცეს: მათი გამოსვლის გუნდური შედეგიც რომ დაჯამებულიყო (მეზღვაურებს მხოლოდ პირადი შედეგები „ჩაეთვალათ“), უკრაინელ ნიჩბოსანთა უპირატესობა ცხადზე უცხადესი იქნებოდა.

ძალების შემოწმების ჩინებული საშუალება ჰქონდათ ჩვენს ჭაბუკ აკადემიურ ნიჩბოსნებსაც. ჰქონდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმისგან ბევრი არაფერი გამოვიდა: დასრულდა თუ არა მებაიდარეთა და კანოისტთა შეჯიბრება, საქართველოს სპორტსახკომის ფოთის სანიჩბოსნო ბაზის მუშაკებმა კვლავ „გააწყვეს“ მდინარე კაპარჭინას ცისფერი ბილიკები, ამჯერად „აკადემიკოსთა“ ფოთის საკავშირო რეგატის სამასპინძლოდ, მაგრამ მათი გარჯა და საყოველთაო მოლოდინი ამაო გამოდგა — ჩრდილოეთში ნაადრევად დათბა, მდინარეებზე ყინული გალღვა, იქაურებმაც შინ დარჩენა ამჯობინეს, საწვრთნელი პროცესის შეწყვეტას, მგზავრობის ხარჯებსა და დავიდარაბას თავი აარიდესო, ითქვა. ამ მიზეზის გამო, შეჯიბრება ძალზე შინაურულ ვითარებაში ჩატარდა — სტარტზე მხოლოდ საქართველოს ნაკრების, ფოთის, აქ შეკრებაზე მყოფი სომხეთის ნიჩბოსნები გამოვიდნენ და, ფაქტობრივად, მსუბუქი, საწვრთნელ-საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს. ვჩქარობთ დავძინოთ, რომ ეს უნებლიე „პაუზა“ დროებითია, რადგან სულ მალე რესპუბლიკის სპორტსახკომის ფოთის სანიჩბოსნო ბაზა უჩვეულოდ გამოცოცხლდება — 29 მარტს აქ დაიწყება საბაიდარო ნიჩბოსნობაში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება, რომელსაც ფოთი პირველად უმასპინძლებს.

**თ. შენგელია.**

**სურათზე: საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები მდინარე კაპარჭინაზე.**

**ი. შლამოვის და მ. კიკვაძის (საქინფორმი) ფოტო.**



# ახალი სეზონი — ახლებურად

**ქუთაისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტთამაშების სკოლის დარბაზში გაიმართა კალათბურთელ ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრები.**



ეს ასპარეზობა წლეულს ახალი სისტემით — ტურებად და შიმოსვლით ტარდება. სიახლეა ჩემპიონატის ადრეული სტარტიც. ასპარეზობა კი წლის ბოლომდე გაგრძელდება.

ქალთა შეჯიბრება ვაჟთა ჩემპიონატისაგან საკმაოდ განსხვავდება. კერძოდ, ვაჟთა პირველობის მატჩები მხოლოდ შაბათ-კვირას ტარდება და ერთი და იგივე გუნდები ორ-ოჯერ ხვდებიან ერთმანეთს, ქალთა ჩემპიონატში კი I და II ტური „ორმაგად“ ეწყობა — წყვილი გუნდი ორ-ორჯერ ხვდება მეორე წყვილს და მათ ამისთვის ოთხი სათამაშო დღე ესაჭიროებათ.

პირველ ტურში ქუთაისის გუნდი დაწყვილებული იყო თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტის ნაკრებთან და მათ ორ-ორი შეხვედრა ჩაატარეს თბილისის სპეციალიზირებული ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის „მართვესთან“ და ბათუმის ნაკრებთან.

გაგაცნობთ პირველი ტურის ტექნიკურ შედეგებს:

I დღე. „მართვე“ — პედაგოგიური ინსტიტუტი — 70:57, ქუთაისი-ბათუმი — 80:43, II დღე — პედაგოგიური ინსტიტუტი — ბათუმი — 65:62, „მართვე“ — „ქუთაისი“ — 37:63. III დღე. — ბათუმი — პედაგოგიური ინსტიტუტი — 67:51, ქუთაისი — „მართვე“ — 68:59.

ქუთაისის გუნდმა (მწვრთნელები ი. მელაძე, ო. ჩაჩუა) ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა და ლიდერობს. 6 ქულით მეორე ადგილზეა „მართვე“ (მწვრთნელი რ. გელოვანი, ვ. ჭოტაშვილი). მესამე და მეოთხე ადგილებზე ბათუმის (მწვრთნელი კ. ზვიახჩიევსკი) და პედაგოგიური ინსტიტუტის (მწვრთნელი ო. ლებანიძე) გუნდები არიან.

შეჯიბრების მონაწილეებმა ორგანიზატორების, შეფი ორგანიზაციების დახმარებით დაათვალიერეს ბაგრატის ტაძარი, ეწვივნენ გელათს, სადაც ყვავილებით შეამკეს დავით აღმაშენებლის საფლავი.

**თამაზ კოლხიდელი,**
**(„ლელოს“ საკ. კორ.).**
ქუთაისი.

**სურათზე: სარბიელზე არიან ქუთაისისა და ბათუმის გუნდები.**

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 13 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 6 (ძიუდო), 27 (მშვილდოსნობა), 31 (ფარიკაობა), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 42 (ჩოგბურთი), 45 (შაში).

**„სპორტლოტო 5 36-დან:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 19 (რბოლა თხილამურებით), 25 (საციგაო სპორტი), 30 (ძალოსნობა).

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე**

საქართველოს სპორტსახკომი, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია, „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს მიხეილ მესხს მამის

**შალვა იოსების ძე მესხის**

გარდაცვალების გამო.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე - 10406